ურთიერთგაგების მემორანდუმი

სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს,

ქ. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს,

ა (ა)იპ ეროვნულ სკრინინგ ცენტრსა

და

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისს შორის

ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში მოიხსენიება როგორც „მემორანდუმი") გაფორმებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდს (შემდგომში მოიხსენიება როგორც „გაეროს მოსახლეობის ფონდი"), სსიპ- ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (შემდგომში მოიხსენიება როგორც „დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი"), ქ. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურსა (შემდგომში მოიხსენიება როგორც „თბილისის მერია") და ა(ა)იპ ეროვნულ სკრინინგ ცენტრს (შემდგომში მოიხსენიება როგორც „ეროვნული სკრინინგ ცენტრი") შორის (ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც „მხარეები").

ვინაიდან, გაეროს მოსახლეობის ფონდის, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოს, მანდატია, ხელი შეუწყოს ხელმისაწვდომობის ზრდას რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხარისხიან მომსახურებებზე ადვოკატირების, პოლიტიკის საკითხზე რეკომენდაციების გაცემის და ცოდნის მართვის მეშვეობით, მომსახურებების მიწოდების სისტემების გაძლიერების მიზნით;

ვინაიდან, გაეროს მოსახლეობის ფონდი სტრატეგიული და ტექნიკური რჩევებით ეხმარება დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს, თბილისის მერიას და ეროვნულ სკრინინგ ცენტრს „კიბოს სკრინინგის ეროვნული პროგრამის" განხორციელებაში, საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებული სკრინინგის პილოტების ჩათვლით გურჯაანსა და ქ.თბილისში;

ვინაიდან მხარეები მზად არიან და აქვთ სურვილი, მიიღონ აღნიშნული დახმარება და სურთ იკისრონ შესაბამისი პასუხისმგებლობები საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროექტის განხორციელების ამოცანების მიმართ, ზემოხსენებული პირობებით;

შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. <u>**დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის პასუხისმგებლობა:**</u>

- სახელმწიფო პროგრამის *„დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის პროგრამის საშვილოსნოს ყელის სკრინინგის კომპონენტი და საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგის კომპონენტი გურჯაანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით“* განხორციელების კოორდინაცია.
- პარტნიორების საკოორდინაციო ჯგუფის (რომელშიც შედის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, თბილისი მერია, გაეროს მოსახლეობის ფონდი და ეროვნული სკრინინგ ცენტრი) რეგულარული შეხვედრების ხელშეწყობა და ხელმძღვანელობა, საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებული სკრინინგის პილოტურ პროექტებთან დაკავშირებით.
- საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებული სკრინინგის წარმატებული პილოტური მოდელის ქვეყნის მასშტაბით განხორციელების ხელშეწყობა და ჯანდაცვის სისტემაში მისი ეფექტური ინტეგრაციის სტრატეგიების მომზადება.
- პილოტურ სკრინინგ პროგრამასთან დაკავშირებული ეპიდემიოლოგიური მონაცემების მონიტორინგი და ანალიზი.
- საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პილოტური პროგრამის განხორციელებაში ჩართული ჯანდაცვის პროფესიონალების ტრენინგის ხელშეწყობა.

2. <u>**თბილისის მერიის პასუხისმგებლობა**</u>

- პარტნიორების დახმარებით, თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებული სკრინინგის პილოტის განხორციელების „კონცეფციის“ და „სამოქმედო გეგმის“ შემუშავება (სტანდარტების და სტანდარტული საოპერაციო პროცედურების (SOP) ჩათვლით) და მისი შემდგომი გავრცელება ქალაქის მასშტაბით.
- თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებული სკრინინგის პილოტის განხორციელების მხარდაჭერა.
- ეპიდემიოლოგიური და პროგრამული მონიტორინგის ინდიკატორების განახლებაში ხელშეწყობა.
- პარტნიორების მხარდაჭერით, სკრინინგ პროგრამასთან დაკავშირებული ეპიდემიოლოგიური მონაცემების მონიტორინგი და ანალიზი.
- ტექნიკური დახმარების მიწოდება პილოტის განხორციელების პროცესში (მაგ. ბენეფიციართა ბაზებით უზრუნველყოფა).

3. <u>**ეროვნული სკრინინგ ცენტრის პასუხისმგებლობა**</u>

- საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებული სკრინინგის პილოტის პროგრამის განხორციელების მართვა თბილისში, შეთანხმებული „კონცეფციის“ და „სამოქმედო გეგმის“ მიხედვით.
- სკრინინგ პროგრამაში მონაწილე ადამიანური რესურსების გადამზადებაში მონაწილეობა.

- მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების ინსპექტირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას კონტრაქტის მოთხოვნებით გათვალისწინებული სტანდარტებისა და პირობების დაკმაყოფილება.
- სკრინინგის საპილოტე პროექტთან დაკავშრებით, ეპიდემიოლოგიური და პროექტის განხორციელების შესახებ მონაცემების შეგროვება და ანალიზი დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან.
- ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების (CQI) სისტემის დანერგვის და განხორციელების ხელშეწყობა ეროვნულ დონეზე, პარტნიორთა საკოორდინაციო ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობით.

4. <u>**გაეროს მოსახლეობის ფონდის პასუხისმგებლობა**</u>

- „კონცეფციის" საბოლოო სახით შემუშავების ხელშეწყობა, და საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებული სკრინინგის პილოტური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა გურჯაანის მუნიციპალიტეტსა და თბილისში; დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან, თბილისის მერიის და ეროვნულ სკრინინგ ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში.
- ადვოკატირება და რეკომენდაციების მიცემა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისთვის იმ პოლიტიკის და მარეგულირებელი ცვლილებების შესახებ, რაც აუცილებელია საშვილოსნოს ყელის კიბოს ორგანიზებული სკრინინგის პილოტური პროექტის სრული მასშტაბით განხორციელებისთვის კახეთში.
- ტექნიკური დახმარების გაწევა კახეთსა და თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პილოტური პროექტის მონიტორინგთან დაკავშირებით.
- ეროვნულ სკრინინგ ცენტრთან ერთად ტექნიკური დახმარების გაწევა ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების (CQI) სისტემის შემუშავებასა და დანერგვაში, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და თბილისის მერიის სკრინინგ პროგრამებისთვის.
- ცოდნის/ტექნიკური რესურსების მიწოდება, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგ პროგრამის ხარისხის ასამაღლებლად.
- კიბოს სკრინინგსა და პრევენციასთან დაკავშირებით, ტექნიკური რჩევების მიწოდება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისთვის, კიბოს კონტროლის სტრატეგიული კომპონენტების განხორციელების თაობაზე.
- ტექნიკური რჩევის უზრუნველყოფა დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და ქ.თბილისის მერიისთვის, რათა შემუშავებული იქნას რეკომენდაციები წარმატებული საპილოტე მოდელების რეპლიკაციისთვის ქვეყნის და ქალაქის მასშტაბით, ჯანდაცვის სისტემაში მათი ეფექტური ინტეგრაციის სტრატეგიების შემუშავების ჩათვლით.

5. <u>**ხანგრძლივობა**</u>

5.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შევა ბოლო ხელმოწერის დასმის დღეს და იმოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

6. <u>ჩანაწერები, ინფორმაცია და ანგარიშები</u>

6.1. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აწარმოონ მკაფიო, ზუსტი და სრული ჩანაწერები წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე შესრულებულ ყველა სამუშაოსთან დაკავშირებით.

6.2. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას შეაგროვონ და ნებისმიერ დროს გააცნონ ერთმანეთს საშვილოსნოს ყელის კიბოს პროგრამის მიმდინარეობის თაობაზე ნებისმიერი სიტყვიერი თუ წერილობითი ინფორმაცია.

წინამდებარე მემორანდუმის განხორციელებასთან დაკავშირებული მთელი შემდგომი კორესპონდენცია გაგზავნილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართებზე:

გაეროს მოსახლეობის ფონდს:

ქ-ნ ლელა ბაქრაძეს,
გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს
საქართველო, თბილისი 0179, რ. ერისთავის ქ. №9, გაეროს სახლი
ტელ./ფაქსი: + (995 32) 225 11 26
ელ.ფოსტა: bakradze@unfpa.org

დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს:

ბ-ნ ამირან გამყრელიძეს,
გენერალურ დირექტორს
მისამართი: საქართველო, თბილისი 0177, მ. ასათიანის ქ. №9
ტელ.: + (995 32) 231 17 54
ფაქსი: + (995 32) 243 30 59
ელ.ფოსტა: pr.ncdc@ncdc.ge

ქ. თბილისის მერია

ბ-ნ გელა ჩივიაშვილს,
ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი
მის: ჟიული შარტავას ქ. 7
ტელ: 0322 72 22 22
ელ-ფოსტა: g.chiviashvili@tbilisi.gov.ge

ეროვნული სკრინინგ ცენტრი:

ბ-ნ რემა ღვამიჩავას,
დირექტორი
მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 69
ტელ: +(995 32) 2 20 35 35
ელ-ფოსტა: info@gnsc.ge

7. <u>ზოგადი დებულებები</u>

7.1 წინამდებარე მემორანდუმი და მისი დანართი წარმოადგენს ერთიან მემორანდუმს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს, თბილისის მერიას, ეროვნულ სკრინინგ ცენტრსა და გაეროს მოსახლეობის ფონდს შორის და ანაცვლებს ნებისმიერი სხვა, ზეპირ თუ წერილობით, მოლაპარაკების შინაარსს წინამდებარე მემორანდუმის საგანთან დაკავშირებით.

7.2 დანართში აღწერილ ყველა საქმიანობას მხარეები სათანადო გულმოდგინებით და ეფექტიანად განახორციელებენ. წინამდებარე მემორანდუმის გარკვევით ჩამოყალიბებულ პირობებზე დაყრდნობით შეთანხმებულია, რომ მხარეები განახორციელებენ ექსკლუზიურ კონტროლს წინამდებარე მემორანდუმში მოხსენიებული ყველანაირი საქმიანობის ადმინისტრირებასა და შესრულებაზე, და მხარეები არ ჩაერევიან ერთმანეთის მიერ აღნიშნული კონტროლის განხორციელებაში. თუმცა როგორც სამუშაოს ხარისხი, ისე ზემოაღნიშნული საქმიანობების წარმატებით შესრულების გზაზე მიღწეული წინსვლა, გახდება პარტნიორთა განხილვის საგანი.

7.3 დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრი, თბილისის მერია და, ეროვნულ სკრინინგ ცენტრი ათვითცნობიერებენ, რომ გაეროს მოსახლეობის ფონდს და მის წარმომადგენლებს არ მიუციათ დაფინანსების რაიმე რეალური თუ ნაგულისხმევი პირობა, გარდა იმ თანხებისა, რომლებიც წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე გამოიყოფა.

7.4 წინამდებარე მემორანდუმის არანაირი მოდიფიცირება თუ ცვლილება, მის დებულებებზე უარი ან დამატებითი საკონტრაქტო დებულებები არ იქნება ძალაში ან აღსრულებადი, თუ წინასწარ წერილობითი სახით არ იქნა დამტკიცებული წინამდებარე მემორანდუმის მხარეების ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ წინამდებარე მემორანდუმის შესწორების ფორმით, რომელიც ხელმოწერილი იქნება მემორანდუმის მხარეების მიერ.

7.5 წინამდებარე მემორანდუმის არც ერთი დებულება და არაფერი მასთან დაკავშირებით არ იქნება მიჩნეული უარის თქმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს მოსახლეობის ფონდის რომელიმე პრივილეგიაზე და იმუნიტეტზე.

ზემოხსენებულის დასტურად ქვემორე ხელისმომწერმა პირებმა, გაეროს მოსახლეობის ფონდის, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრის, თბილისის მერიის და, ეროვნულ სკრინინგ ცენტრის სახელით ხელი მოაწერეს წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს მათი ხელმოწერების ქვემოთ მითითებულ თარიღებზე.

ეროვნული სკრინინგ ცენტრი:

ბ-ნი რემა ღვამიჩავა,

დირექტორი

თარიღი _____

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის სახელით:

ბ-ნი ამირან გამყრელიძე

გენერალური დირექტორი

თარიღი _____

ქ. თბილისის მერია

ბ-ნი გელა ჩივიაშვილი,

სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი

თარიღი _____

გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის სახელით:

დოქტორი ზაჰიდულ ჰაქი

წარმომადგენელი თურქეთში; სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ოფისების დირექტორი

თარიღი _____